



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო კ მ ი N23

ქ. მარნეული

29.11.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ამირან გიორგაძე, მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ნოდარ მთვარელიძე, ზურაბ ფანგანი, გივი გიორგაძე, დავით ხუციშვილი, ნიკოლოზ მუმლაძე, თორნიკე გოგლიძე, ზურაბ ჭონიაშვილი, ნადირ გულიევი, ვანო ბურნაძე, რომან ტაბატაძე, რიჩარდ გიგანი, ალი მურადოვი, არამ კარაპეტიანი, ბესიკ გუჯეჯიანი, არსენ ახვერდიანი, როვშან ისკანდაროვი, ომარ ირიშოვი, აივაზ ისკანდაროვი, ჰუსეინ ჰუსეინოვი, ილხამ გასანოვი, მირკაზუმ იაგუბოვი, აკმამედ იმამკულიევი, აზატ კარიმოვი, ადილ გურბანოვი, რაგიმ ასკეროვი.

არ ესწრებოდა:

რამინ ალახვერდიევი, ლევონ აკოპიანი, ტარიელ მამედოვი, გეიდარ მუსაევი, აშრაფ ტუკანოვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ნინო დეკანოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „TV-მარნეული“-ს და რადიო მარნეულის წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. ფრაქცია „ევროპული საქართველო-მოდრაობა თავისუფლებისათვის“ დაფუძნების შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ.

4. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 20 ნოემბრის N03/12964 წერილის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ რიჩარდ გიგანმა საკრებულოს წარუდგინა დოკუმენტაცია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ფრაქცია „ევროპული საქართველო–მოდრაობა თავისუფლებისათვის“ შექმნის შესახებ, რომლის თავმჯდომარედაც არჩეულია აკამედ იმამკულიევი, რაც საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად. (მიღებულია განკარგულება N106. 29.11.2017 წ)

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეებმა რომან ტაბატაძემ, გივი გიორგაძემ, ნოდარ მთვარელიძემ, რიჩარდ გიგანმა და ბესიკ გუჯეჯიანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინეს კომისიების შემადგენლობები.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება: N101, N102, N103, N104 და N105. 29.11.2017 წ)

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ რომან ტაბატაძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N100. 29.11.2017 წ)

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ ითხოვა საკითხის გადადება, ვინაიდან მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის დაწესებული საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტი დეკემბრის თვეში რჩება უცვლელი და დეკემბრის ბოლოს წარმოდგენილი იქნება 2018 წლის ლიმიტები, რაც საკრებულოს წევრების მიერ მიღებული იქნა ცნობად.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით – ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ გივი გიორგაძემ და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინეს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მითითების ოქმის და შემოწმების აქტის ფორმა. აღნიშნულ ფორმაში ცვლილება განხორციელდა მხოლოდ იმ სახით, რომ გამგეობა ჩანაცვლდა მერიით.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N51. 29.11.2017 წ)

საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის ოცდამესამე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ამირან გიორგაძე